თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3215719

ნომერი: AR1493873

თარიღი : 07.04.2017

გაცემის თარიღი : 24.04.2017

გაცნობის თარიღი : 25.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება სან-ზონა , მშენებარე სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ, (ნაკვ. 10/044) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინე ქოჩლაძე პ/ნ 01003003288
- თბილისი მუხიანი IVა მ/რ კორ. 4 ბ. 99

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1493873 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქალაქი თბილისში, დასახლება სან-ზონა , მშენებარე სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ, #01.12.07.010.044 საკადასტრო ერთულზე ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას და ითხოვთ საკითხის განხილვისას ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 23 იანვარს #AR1472225 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ბადრი ლომთათიძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 15 ივლისის #1426 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება, რომლის საფუძველზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 თებერვლის #1-386 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „ქ.თბილისში, სანზონის დასახლებაში მშენებარე სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.12.07.010.044), მრავალფუნქციურ კომპლექსზე (საოფისე, საცხოვრებელი და სხვა) ორი სართულის დაშენების მიზნით, ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“. ქ.თბილისის მერის 2013 წლის 15 ივლისის #1426 განკარგულება.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქალაქი თბილისში, #01.12.07.010.044 საკადასტრო ერთულზე ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდასთან დაკავშირებით სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდების მითითების შემთხვევაში.
